B18051581

გადახდის ნომერი: **EN1555681**
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **B18051581**
განცხადების რეგისტრაციის დრო: 08/05/2018 16:55:33
განცხადების ნომერი: 1555681
განცხადების მიღების დრო: 08/05/2018 16:54:39

განცხადების მიღების ბარათი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ იქნა განცხადება (განმცხადებელი: გეგი ფალიანი/30001000933/), რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეორგანიზაცია.

სამართლებრივი ფორმა: **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურ. პირი**
დასახელება: **ლეო ფილფანის სახელობის სახალხო და ფოლკლორის თეატრი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **435891180**

დამატებით წარმოდგენილი: (14/05/2018 12:40:41)

- დამატებით წარმოდგენილია კორექტირებული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია; ბრძანება; წესდება.

მომსახურება: 1 დღის ვადაში 0 ლარი

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო **SMS**–ის საშუალებით.

სარეგისტრაციო სამსახურში მობრძანებამდე თქვენ შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა.

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** ;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე **www. napr.gov.ge** , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: **2 405405** ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე **2 405405** ;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: **08 009 009 09**
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: **info@napr.gov.ge**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA, CITY HALL OF MESTIA MUNICIPALITY

მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება №215
2018 წლის 08 მაისი
დ. მესტია

ა.(ა).იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის" წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის, საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება მესტიის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 მარტის N131 ბრძანებით დამტკიცებულ ა.(ა).იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის" წესდებაში.
2. წესდების მეოთხე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „4. „სამსახურის" იურიდიული მისამართია: დაბა მესტია, თამარ მეფის ქუჩა N46, ელექტრონული მისამართია: gegipaliani@yahoo.com
3. ა.(ა).იპ „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრის" წესდების ცვლილების რეგისტრაციის ვალდებულება დაეკისროს ა.(ა).იპ-ის დირექტორს გეგი ფალიანს (პ/ნ: 30001000933).
4. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი

ინდ: 3200.დ.მესტია
სეტის მოედანი N–1
gamgeobamestia@yahoo.com
ტელ: +995 591 05 92 38
ელ. ფოსტა: gamgeobamestia@rambler.ru
ვებგვერდი: www.mestia.ge

დამტკიცებულია
მესტიის მუნიციპალიტეტის მერის
2018 წლის 22 მარტის N131 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“-ს წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არსამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის და ხელოვნების ცენტრი“** (შემდგომში „სამსახური“) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საქართველოს ორგანული კანონის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შრომის კოდექსის, „კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ წესდებით.
2. ,,სამსახური“ დაფუძნებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ და წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
3. ,,სამსახურის“ ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ წესდებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. ,,სამსახურის“ იურიდიული მისამართია: დაბა მესტია, თამარ მეფის ქუჩა №46, ელექტრონული მისამართია: gegipaliani@yahoo.com
5. ,,სამსახური“ იურიდიული პირის უფლებებს იძენს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და არსებობს განუსაზღვრელი ვადით.
6. „სამსახური“ თავისი მიზნების და ამოცანების განსახორციელებლად თავის სახელით განახორციელებს უფლებების და მოვალეობების დაცვას, ამყარებს შემოქმდებით კონტაქტებს, როგორც საქართველოში ასევე საზღვარგარეთ.
7. ,,სამსახურს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი ,,სამსახურის“ სრული დასახელების აღნიშვნით და იურიდიული პირისათვის კანონით დადგენილი სხვა რეკვიზიტებით.

მუხლი 2. „სამსახურის“ ძირითადი მიზნები, ფუნქციები და საქმიანობის საგანი

1. ხალხური შემოქმედების ფოლკლოლურ-ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის მოძიება, შენარჩუნება, პოპულარიზაცია და მისი მეცნიერული კვლევა;

ხალხური ხელოვნების მოვლა-დაცვა და განვითარების საკითხებზე რეგიონის მოქმედი ხალხური შემოქმედებისა და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივებისათვის,ფოლკლორული ჯგუფების, შემოქმედებითი გაერთიანებების, თვითნასწავლი მხატვრების, ხალხური რეწვის ოსტატებისა და სახალხო მთქმელებისათვის კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა. გ.ფოლკლორის ეროვნულ ცენტრთან მუდმივი ურთიერთანამშრომლობა, სამეცნიერო და თეორიული პრაქტიკულ კონფერენციებში მონაწილეობა.

3. კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ფოლკლორის სფეროში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებთან და ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება.
4. ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს რეგიონებში და მის ფარგლებს გარეთ სხვადასხვა ღონისძიების (მათ შორის საკონცერტო) საქმიანობის განხორციელება.
5. აწარმოებს ახლად გამოვლენილი არამატერიალური ძეგლების ფიქსაციას და ამის შესახებ ინფორმაციას აწვდის კულტურის და სპორტის სამინისტროს.
6. „სამსახურის" ძირითად ფუნქციებს, მიზნებსა და საქმიანობის საგანს წარმოადგენს მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების და ღონისძიებების დადგმა და მათი მეშვეობით მოსახლეობის ფართო ფენებში ხალხური, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა.
7. ბავშვთა და მოზარდთა სულიერი და ესთეტიკური აღზრდა.
8. ხალხური და სასცენო ხელოვნების მეშვეობით სალიტერატურო ენის დაცვა, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცება, ტრადიციების აღორძინება და განვითარება, ზოგადსაკაცობრიო იდეალების პროპაგანდა.

მუხლი 3. „სამსახურის" უფლება-მოვალეობანი

1. ,,სამსახური" პასუხისმგებელია მასზე გადაცემული ქონების მიზნობრივ გამოყენებაზე, აღრიცხვასა და შენახვაზე.
2. თავის გამგებლობასა და ფუნქციებს ძიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დადგენილი წესით მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა დაწესებულებებიდან, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.
3. ,,სამსახურის" დაქვემდებარებულ სფეროებში გამოვლენილი ან შესაძლო დარღვევების თაობაზე მოამზადოს სათანადო წინადადებები და დასკვნები და წარუდგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერს განსახილველად.
4. „სამსახურს" თავისი მთავარი ამოცანის შესრულებისას, საქართველოს კანონმდებლობით უფლება აქვს:
   4.1 მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილება შემოქმედებითი მიმართულებების არჩევანის, რეპერტუარის შერჩევის, სპექტაკლის საჯარო შესრულებისა და ნებისმიერი სარეკლამო მასალის პუბლიკაციის შესახებ;
   4.2 ისარგებლოს თავის მიერ შექმნილი მხატვრული პროდუქციით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად და აირჩიოს მის მიერ შექმნილი სპექტაკლის და გასართობი ღონისძიების საჯარო შესრულებისათვის გამოსაყენებელი ყველა ფორმა, გასცეს თანხმობა (რეჟისორის ან სპექტაკლის ავტორის თანხმობის საფუძველზე) საკუთარი პროდუქციის ტელევიზიით ჩვენებისა და რადიოთი გადაცემის, მისი ყველა ჩანაწერის ტირაჟირების, რეალიზაციისა და გავრცელებისათვის როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;

4.3 აწარმოოს მოლაპარაკებანი და დადოს გარიგებები. აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან;

4.4 დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი ეკონომიკური პროგრამა, განსაზღვროს ფასიანი წრეების გადასახადის, ბილეთების, სხვა მის მიერ წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ღირებულება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით;

4.5 შეიმუშაოს „სამსახურის" შინაგანაწესი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, განსაზღვროს სამუშაო დროისა და დასვენების ხანგრძლივობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.6 განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, აგრეთვე „სამსახურის" წესდების შესაბამისად.

5. **„სამსახურს" მხოლოდ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით შეუძლია განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:**

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა;

ვ) ,,სამსახურის" კუთვნილი ქონების იჯარის ხელშეკრულებით დროებით სარგებლობაში გადაცემა, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით.

ზ) სხვა გადაწყვეტილებები „სამსახურის" ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 4. „სამსახურის" მართვა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება

1. „სამსახურის" მართვას ახორციელებს დირექტორი.
2. დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.
3. ,,სამსახურის" დირექტორს ჰყავს მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ,,სამსახურის" დირექტორი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.
4. „სამსახურის" დირექტორი:
   - 4.1 თავის კომპეტეციაში არის დამოუკიდებელი, იგი თავის კომპეტეციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, ამტკიცებს „სამსახურის" შინაგანაწესს;
   - 4.2 მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასთან ათანხმებს „სამსახურის" სტრუქტურას, საშტატო განრიგს და თანამდებობრივ სარგოს;
   - 4.3 სამსახურში იღებს და ათავისუფლებს თანამშრომლებს;

4.4 საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის შესაბამისად დებს შრომით ხელშეკრულებეს თანამშრომლებთან და მოწვეულ სპეციალისტებთან.
4.5 ამტკიცებს სამსახურის და სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმას.
4.6 მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განკარგავს ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს, პასუხს აგებს მის მიზნობრივ ხარჯვაზე;
4.7 მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით დებს ხელშეკრულებებს მესამე პირებთან;
4.8 მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით განსაზღვრავს ხელფასის ოდენობასა და ფონდს, რომელიც აისახება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტში;
4.9 კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს ქონებას და სახსრებს;
4.10 მინდობილობის გარეშე წარმოადგენს ,,სამსახურს" ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს;
4.11 მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს „სამსახურის" თანამშრომელთა წახალისებისა (ფულადი და მატერიალური წახალისება, არსებული ფონდის ფარგლებში) და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.
4.12 მესტიის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ,,სამსახურის" წესდებაში შესატანი ცვლილებების შესახებ წინადადებებს;
4.13 წესდებით განსაზრვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები;
4.14 ანგარიშვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის წინაშე.

მუხლი 5. „სამსახურის" ქონება

,,სამსახურის" ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ–მოძრავი ქონება), რომელიც ,,სამსახურს" გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად და წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

მუხლი 6. ფინანსები, დაფინანსება, ანგარიშგება.

1. „სამსახურის" დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
ბ) უცხოური ინვესტიციები;
გ) ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების შემოწირულობანი;
დ) კერძო შემოწირულობანი:
ე) ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ,,სამსახურის" ფუნქციების განხორციელებას. სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 7. ,,სამსახურის" საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება

1. ,,სამსახური" ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო, ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა, ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და კვარტალურად/წლიურად წარუდგინოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურს.

2. ,,სამსახურის" საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებს ბუღალტერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ,,სამსახურის" დირექტორი მესტიის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით.

3. ,,სამსახური" ვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგინოს წლის გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიში და საფინანსო საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით.

მუხლი 8. "სამსახურის" ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. ,,სამსახური"-ს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
2. ლიკვიდაციას ახორციელებს დამფუძნებელი, ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ,,სამსახურის" ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
3. ,,სამსახურის" ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულადი ფორმით, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, ხოლო დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს. ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს ,,სამსახურის" დამფუძნებელი.
4. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ,,სამსახურის" დამფუძნებელს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
5. თუ ,,სამსახურის" დამფუძნებელმა არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ,,სამსახურის" ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ,,სამსახურს". თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან

შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციის გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

,,სამსახურის" წესდებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება ,,სამსახურის" დირექტორის მიერ მომზადებული წინადადების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. თუ ამ წესდების რომელიმე პუნქტი ბათილად იქნა ცნობილი ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა პუნქტების ნამდვილობაზე.
2. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესი ძალა ენიჭება კანონს.

კაპიტონ ჟორჟოლიანი
მესტიის მუნიციპალიტეტის მერი